ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

**უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება**
ბიზნესის ადმინისტრირება (სპეციალობები: ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი, საბუღალტრო აღრიცხვა)

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება**
შპს კავკასიის უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 30.05.

დასკვნის წარდგენის თარიღი: 18 ივნისი

თბილისი
2019

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | შპს კავკასიის უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 205050567 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | ბიზნესის ადმინისტრირება (სპეციალობები: ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი, საბუღალტრო აღრიცხვა) |
| განათლების საფეხური | ბაკალავრიატი |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით | ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი 02 |
| სწავლების ენა | ქართული |
| კრედიტების რაოდენობა | 240 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი) | აკრედიტებული (21.07.2014 N154) |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | გოჩა თუთბერიძე, ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | მანანა ლობჟანიძე, თსუ, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | დავით ბურჯანაძე, ნიუ ვიჟენ, საქართველო |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს. პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა შეადგენს 4 წელს. სასწავლო წელი აგებულია სემესტრული პრინციპით. ერთი სემესტრი მოიცავს 20 სასწავლო კვირას, შესაბამისად აკადემიური სასწავლო წელი დაგეგმილია 40 კვირაზე. 1 ECTS კრედიტი უდრის 25 საათს, რაც მოიცავს, როგორც სტუდენტის საკონტაქტო დატვირთვის დროს, ასევემისი დამოუკიდებელი მუშაობის დროს (შუალედური და დასკვნითი შეფასებისათვის, აგრეთვე საშინაო დავალების მომზადებისათვის განკუთვნილ დროს). პროგრამამ აკრედიტაცია გაიარა 2014 წლის 21 ივლისს. მას შემდეგ პროგრამამ გარკვეული ცვლილებები განიცადა: შეიცვალა პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია, რომელიც შესაბამისობაში მოვიდა ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2011 წლის 4 მაისის 65/ნ ბრძანების 20-ე მუხლის 11 პუნქტთან და პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია განისაზღვრა შემდეგი სახით - ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი. შეიცვალა პროგრამის სასწავლო გეგმა. ცვლილებები მოხდა პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიმართულებით.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2019 წლის 30 მაისს თბილისში პაატა სააკაძის ქუჩა №1-ში. ვიზიტამდე 28 მაისს, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შეიკრიბა ექსპერტთა ჯგუფი (გოჩა თუთბერიძე, მანანა ლობჟანიძე) 12 საათიდან და 16 საათამდე მიმდინარეობდა თვითშეფასების ანგარიშის განხილვა. ცენტრის მიერ მოწოდებული ფორმის მიხედვით განისაზღვრა ის აუცილებელი კითხვები, რომელიც დაისვა მომდევნო დღეებში ინტერვიუს პროცესში პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

30 მაისს აღნიშნულ დაწესებულებაში ვიზიტის ფარგლებში 10 საათიდან დაიწყო სამუშაო შეხვედრა პროგრამაში ჩართულ დაინტერესებულ პირებთან. სამუშაო განრიგის მიხედვით შეხვედრა/გასაუბრება შედგა ადმინისტრაციასთან (ვიცე რექტორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი), თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან, ფაკულტეტის წარმომადგენლებთან, დამსაქმებლებთან. ასევე ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკა, სააუდიტორიო ოთახები, ლაბორატორიები, კაბინეტები და ა.შ) დათვალიერება. სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებით. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ობიექტურად შეეფასებინა პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

საგანმანათლებლო პროგრამა შესაბამისობაშია I, II, III, IV და V სატნდარტებთან.

- **რეკომენდაციები**

  - შემცირდეს სავალებულო მოდულების კრედიტების რაოდენობა (55 კრედიტი) და მოდულებში არსებული სასწავლო კურსების ხარჯზე გაიზარდოს ბიზნესის ადმინისტრირების სავალდებულო სასწავლო კურსების საბაზისო მოდული. მაგ.

კორპორაციის ფინანსები, ფინანსური ბაზრები და ინსტიტუტები, ინვესტიციები, საგადასახადო დაბეგვრის პრინციპები, მომხმარებლის ქცევა, გაყიდვების მართვა, სტრატეგიული მარკეტინგი, ორგანიზაციული ქცევა, ადამიანური რესურსების მართვა, ოპერაციების მართვა, პროექტების მართვა უნდა გადმოვიდეს სავალდებულო სასწავლო კურსების საბაზისო მოდულში;

- მიზანშეწონილია საგანმანათლებლო პროგრამა, როგორც ეს არის მიღებული ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებში, ითვალისწინებდეს პრაქტიკის კომპონენტს სპეციალიზაციის თითეული მოდულის ფარგლებში.

- რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

მიზანშეწონილია პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განისაზღვროს მეოთხე საგნად მათემატიკის ჩაბარება.

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

- განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეიცვალა პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია, შეიცვალა პროგრამის სასწავლო გეგმა. პროგრამას დაემატა ისეთი ახალი საგნები როგორიცაა: ბიზნესის ადმინისტრირების საბაზისო საგნების ნაწილში-ფინანსების შესავალი, და მენეჯმენტის საფუძვლები; ფინანსების სპეციალობის სავალდებულო საგნების მოდულში საგანი - შერწყმა, შესყიდვა, რეორგანიზაცია; ფინანსების სპეციალობის არჩევითი საგნების მოდულში საგანი-მონეტარული პოლიტიკა; მარკეტინგის სპეციალობის სავალდებულო საგნების მოდულში: ციფრული მარკეტინგისა და ელ-კომერციის საფუძვლები; მარკეტინგის სპეციალობის არჩევითი საგნების მოდულში: კრეატიული კონტენტ მარკეტინგი, მყიდველის მომსახურება (სერვის პლიუსი), სპორტის მარკეტინგი; მენეჯმენტის სპეციალობის სავალდებულო საგნების მოდულში: მომხმარებლის გამოცდილების მართვა, შესაძლებლობების მართვა, მენეჯმენტის სპეციალობის არჩევითი საგნების მოდულში: სავაჭრო არხების სტრატეგია, ბიზნეს მოდელის ინოვაცია; საბუღალტრო აღრიცხვის სავალდებულო საგნების მოდულში: ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისთვის; საბუღალტრო აღრიცხვის არჩევითი საგნების მოდულში - საბუღალტრო პროგრამა ბალანსი; ცვლილებები მოხდა პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიმართულებით. პროგრამაზე მოწვეული და ჩართული იქნა ბიზნესის მიმართულებაში მრავალწლიანი პრაქტიკული გამოცდილების და ცოდნის მქონე კვალიფიციური სპეციალისტები; პროგრამაში გაიზარდა არჩევითი თავისუფალი კომპონენტის ECTS კრედიტების გასავლელი რაოდენობა და შეადგინა 15 ECTS კრედიტი;

# პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

## 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| 1.1 პროგრამის მიზნები |
| --- |
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>კავკასიის ბიზნესის სკოლის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის მიზნებია: სტუდენტს მისცეს ფართო თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები ბიზნესის ადმინისტრირების როგორც საბაზისო, ასევე ერთ-ერთ ფუნქციურ მიმართულებებში, როგორიცაა ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი, საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი; განუვითაროს სხვადასხვა დონის მენეჯერული რგოლისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევები და მოამზადოს როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო კომპანიებში შესაბამისი (ფინანსისტის, მარკეტერის, ბუღალტერ-აუდიტორის და ა.შ.) ფუნქციების ეფექტური შესრულებისათვის; მისცეს თეორიული ცოდნა და განუვითაროს უნარ-ჩვევები, რომლებიც საჭირო იქნება ენტრეპრენერული საქმიანობისათვის; ჩამოუყალიბოს ისეთი მსოფლმხედველობა და ფასეულობები, რომლებიც გახდიან მას კონკურენტუნარიან, მაღალკვალიფიციურ, ზნეობრივად სრულყოფილ, ზოგადსაკაცობრიო იდეალების ერთგულ, მაღალი საზოგადოებრივი თვითშეგნების და ეთიკური პასუხისმგებლობის მქონე პირად.<br>პროგრამის მიზნები შეესაბამება კავკასიის უნივერსიტეტისა და კავკასიის ბიზნესის სკოლის მისიაში ასახულ ხედვებს, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას და უზრუნველყოფს ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზრებზე კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადებას.<br>პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული პროგრამა.<br>პროგრამის შემუშავებამდე დაწესებულებამ განახორციელა შრომის ბაზრის კვლევა. კვლევის მიზანი იყო შრომის ბაზარზე არსებული სიტუაციის შეფასება და ამის საფუძველზე უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა.<br>პროგრამას თან ახლავს სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების რუკა, სადაც დეტალურად, ინდიკატორების მეშვეობით არის გაწერილი პროგრამის და სასწავლო კურსების სწავლის შედეგების მიმართება და მათი მიღწევის შეფასების დონეები. |

| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>o საგანმანათლებლო პროგრამა;<br>o კავკასიის უნივერსიტეის და კავკასიის ბიზნესის სკოლის მისია, მიზნები და სტრატეგიული დაგეგმვის დოკუმენტი;<br>o შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;<br>o ბიზნესის სკოლის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია<br>o ვებგვერდი www.cu.edu.ge<br>o ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან |
|---|
| **რეკომენდაციები:**<br><br>o წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>o არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| **1.2 პროგრამის სწავლის შედეგები** |
|---|
| ➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; |

- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და შინაარსით მოიცავს პირველი საფეხურის შესატყვის ძირითად ცოდნას და უნარებს. სწავლის შედეგები ძირითადად პასუხობს კვალიფიკაციის შესაბამის დონეს, შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას და იძლევა განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას. სწავლის შედეგები ითვალისწინებს დარგის თეორიული ცოდნის, მისი პრაქტიკული იმპლემენტაციის, აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან კომუნიკაციური, ასევე ანალიტიკური და აუცილებელი სოციალური უნარების განვითარებას.

*აღსანიშნავია ის გარემოება, რომ წინა აკრედიტაციით აღნიშნული პროგრამა ანიჭებდა ოთხ კვალიფიკაციას (მენეჯმენტი, ფინანსები, მარკეტინგი, საბუღალტრო აღრიცხვა), შესაბამისად იყო აგებული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა (კურიკულუმი). საკრედიტაციოდ წარმოდგენილ პროგრამაში შეიცვალა კვალიფიკაცია და პროგრამა ახლა ანიჭებს ერთ კვალიფიკაციას -ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრს. თუმცა პრინციპული ცვლილება არ განუცდია სასწავლო გეგმას. კერძოდ, თუ სტუდენტმა არ აირჩია მარკეტინგის მოდული, მაშინ ის მარკეტინგის მიმართულებით ისწავლის მხოლოდ ერთ სასწავლო კურსს - „მარკეტინგის საფუძვლები“, რაც აშკარად არ არის საკმარისი ბიზნესის ადმინსიტრირების კვალიფიკაციის მისანიჭებლად. იგივე შეიძლება ითქვას ფინანსების კომპონენტეზეც, თუ სტუდენტმა არ აირჩია ფინანსების მოდული ის ფინანსების მიმართულებით ისწავლის მხოლოდ ერთ სასწავლო კურსს -„შესავალი ფინანსებში“, რაც ასევე ვერ იქნება საკმარისი ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის კვალიფიკაციის მისანიჭებლად. აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფს მიზანშეწონილად მიაჩნია განხორციელდეს გარკვეული ცვლილებები საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმაში. კერძოდ, შემცირდეს სავალდებულო მოდულების კრედიტების რაოდენობა (55 კრედიტი) და მოდულებში არსებული სასწავლო კურსების ხარჯზე გაიზარდოს ბიზნესის ადმინისტრირების სავალდებულო სასწავლო კურსების საბაზისო მოდული. მაგ. კორპორაციის ფინანსები, ფინანსური ბაზრები და ინსტიტუტები, ინვესტიციები, საგადასახადო დაბეგვრის პრინციპები, მომხმარებლის ქცევა, გაყიდვების მართვა, სტრატეგიული მარკეტინგი, ორგანიზაციული ქცევა, ადამიანური რესურსების მართვა, ოპერაციების მართვა, პროექტების მართვა უნდა გადმოვიდეს სავალდებულო სასწავლო კურსების საბაზისო მოდულში.*

პროგრამას დანართის სახით თან ერთვის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, რომელიც შემუშავდა პროგრამის განახლებული მიზნებისა და სწავლის შედეგების საფუძველზე. შეფასების მექანიზმში აღწერილი სისტემა ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას და იძლევა შესაძლებლობას დადგინდეს თუ რამდენად მიაღწიეს სტუდენტებმა, კურსდამთავრებულებმა პროგრამით გათვალისწინებულ შედეგებს. შეფასების მექანიზმში აღწერილი და გამოყენებულია როგორც პირდაპირი ასევე

| |
|---|
| არაპირდაპირი მეთოდები. კერძოდ: პირდაპირი შეფასებისას ხორციელდება დაკვრივება პროგრამის კომპონენტების სტდუენტების მიერ ათვისების მაჩვენებელზე და სავალდებული კომპონენტების სწავლის შედეგების მიღწევის მაჩვენებელზე პროგრამის სწავლის შედეგებთან მიმართებით. არაპირდაპირი მეთოდის ინსტრუმენტებად გამოიყენება პრორგამაზე ჩარიცხულ სტდუენტთა დინამიკა; მობილობის მაჩვენებელი; კურსამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლი, მათ შორის იმ მიმართულებების მიხედვით რომლის არჩევის შესაძლებლობაც ეძლევა სტუდენტს; სტეუნტების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის და დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები. შემუშავებული მექანიზმის საფუძველზე მოხდება პროგრამის პერიოდული შეფასება და შეფასების შედეგად საჭიროების შემთხვევაში დაიგეგმება ცვლილებების შეტანა პროგრამის შინაარსში და/ან სწავლის შედეგებში და/ან შეფასების სისტემაში. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>o საგანმანათლებლო პროგრამა;<br>o სასწავლო კურსების სილაბუსები;<br>o პროგრამის სწავლის შედეგები;<br>o საგანმანათლებლო პროგრამა;<br>o პროგრამის მიზნები;<br>o პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა;<br>o კურიკულუმის რუკა;<br>o სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;<br>o ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან |
| **რეკომენდაციები:**<br><br>შემცირდეს სავალებულო მოდულების კრედიტების რაოდენობა (55 კრედიტი) და მოდულებში არსებული სასწავლო კურსების ხარჯზე გაიზარდოს ბიზნესის ადმინისტრირების სავალდებულო სასწავლო კურსების საბაზისო მოდული. მაგ. კორპორაციის ფინანსები, ფინანსური ბაზრები და ინსტიტუტები, ინვესტიციები, საგადასახადო დაბეგვრის პრინციპები, მომხმარებლის ქცევა, გაყიდვების მართვა, სტრატეგიული მარკეტინგი, ორგანიზაციული ქცევა, ადამიანური რესურსების მართვა, ოპერაციების მართვა, პროექტების მართვა უნდა გადმოვიდეს სავალდებულო სასწავლო კურსების საბაზისო მოდულში. |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |

| |
|---|
| o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>o |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | ✓ | | | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

| 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები |
|---|
| უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. |

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

წარმოდგენილი დოკუმენტაციით, აგრეთვე, უნივერსიტეტში ექსპერტთა ვიზიტით დასტურდება, რომ სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა წარმოადგენს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის პირველ საფეხურს. საქართველოს მოქალაქისათვის, სტუდენტის სტატუსის მოპოვების საფუძველია ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგი. ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. უცხო ენად ბარდება მხოლოდ ინგლისური ენა.

საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობას არ წარმოადგენს მათემატიკის ჩაბარება. ექსპერტთა ჯგუფის აზრით, უმჯობესი იქნებოდა, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განისაზღვროს მეოთხე საგნად მათემატიკის ჩაბარება.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო პროგრამა;
- "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

მიზანშეწონილია პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განისაზღვროს მეოთხე საგნად მათემატიკის ჩაბარება.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 

**შეფასება**

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამა შედგენლია კავკასიის უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შესახებ დამტკიცებული წესის შესაბამისად, შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნების გათვალისწინებით.

პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს დაშვების წინაპირობებს. მაგ ინგლისური ენის ჩაბარება, თუმცა იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც მისაღებ ეროვნულ გამოცდებზე ინგლისურ ენაში დაბალი მიღებული ქულით ირიცხებიან პროგრამა საწყის ეტაპზე სთავაზობს B1 დონეს ნაცვლად B2 დონის ინგლისური ენისა. იგივე პრინციპი მოქმედებს ასევე იმ სტუდენტებისთვის რომლებიც პროგრამაზე მათემატიკის ჩაბარების გარეშე ირიცხებიან. ამ შემთხვევაში პროგრამა საწყის ეტაპზე პრეკალკულუსის კურსს სთავაზობს, ნაცვლად კალკულუს I-ის კურსისა. სასწავლო კურსებს გააჩნიათ წინაპირობები და სასწავლო კურსები ერთმანეთთან ლოგიკურ ბმაში არიან.

პროგრამა სტრუქტურულად დაყოფილია საუნივერსიტეტო სავალდებულო 77 ECTS კრედიტი, საუნივერსიტეტო არჩევითი 15 ECTS კრედიტი, თავისუფალი კომპონენტის 15 ECTS კრედიტი და ბიზნესის ადმინისტრირების სავალდებულო 133 ECTS კრედიტის სასწავლო კურსებად. ბიზნესის ადმინისტრირების სავალდებულო სასწავლო კურსები იყოფა: ბიზნესის ადმინისტრირების საბაზისო 78 ECTS კრედიტი და არჩევითი სპეციალობის-მოდულის (ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი, საბუღალტრო აღრიცხვა) 55 ECTS კრედიტი სავალდებულო საგნებად. ***თუმცა, როგორც ეს იყო აღნიშნული 1.2 ქვესტანდარტის კომენტარში, მიზანშეწონილად მიგვაჩნია შემცირდეს მოდულების კრედიტების რაოდენობა, რათა ისეთი სასწავლო კურსები, რომლებიც უზრუნველყოფენ ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის კვალიფიკაციის შესაბამისი კომპეტენციების გამომუშავებას იყოს შეთავაზებული ბიზნესის ადმინისტრირების საბაზისო მოდულში.***

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პროგრამის შინაარსი, მოცულობა და

კომპლექსურობა შეესაბამება სწავლების საფეხურს და აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ბიზნესის ადმინისტრირების საბაკლავრო საგანმანათლებლო პროგრამა
- საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების წესი;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან;
- ინტერვიუ ხარისხის სამსახურთან;
- ინტრევიუ დაინტერესებულ მხარეებთან (აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები);
- ვებგვერდი;
- პროგრამის შემუშავებაში ჩართული დაინტერესებული პირების მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი;

**რეკომენდაციები:**

იხ. რეკომენდაცია 1.2

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამის სასწავლო კურსების შედეგები ბმაშია პროგრამის შედეგებთან, რაც ასახულია პროგრამის სწავლის შედეგების რუკაში. სასწავლო კურსების მიმართება პროგრამის სწავლის შედეგებთან ასახულია დაბალ, საშუალო და მაღალ შკალაზე, თუ რომელ შედეგთან რა მიმართება აქვს სასწავლო კურსებს. ასევე განსაზღვრულია სასწავლო კურსების სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულები პროგრამის შედეგებთან მიმართებაში. სასწავლო კურსების სწავლის შედეგები გამოყენებულია როგორც შეფასების ინდიკატორები და ასახულია შედეგების შეფასების მექანიზმში.

სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

მთლიანობაში, პროგრამის სასწავლო კომპონენტები უზრუნველყოფენ უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს მიხედვით განსაზღვრული დარგობრივი და ზოგად ტრანსფერული კომპეტენციების მიღწევას - სტუდენტთა პროფესიული და ეთიკური ღირებულებების გააზრებას სოციალური პასუხისმგებლობის კონტექსტში.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- გასაუბრება აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა

| |
|---|
| აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>o |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება** |
| პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას. უნივერსიტეტის სტუდენტები ჩართული არიან ადგილობრივი და საერთაშორისო მნიშვნელობის კვლევით პროექტებში. კერძოდ, სტუდენტებს საშუალება ეძლევათ ინტერესების მიხედვით მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა კონკურსებში. დასაქმების ფორუმებში, რომელიც ხელს უწყობს პრაქტიკული უნარების განვითარებას და ასევე, კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი ინიციატივების განხორციელებაში სტუდენტის ჩართვას. სტუდენტებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ სხვა სასწავლებლებისა და ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ სამეცნიერო კონფერენციებში. შეუძლიათ წარმოადგინონ თავიანთი ნამუშევრები ორიგინალური ბიზნეს-პროექტების სახით, მოახდინონ მათი საჯარო წარდგენა.<br>სასწავლო გეგმა არ ითვალისწინებს სასწავლო ან საწარმოო პრაქტიკის სასწავლო კურსს, რომელთა კომპენსაციად დაწესებულებას მიაჩნია ის, რომ არჩევითი მოდულების სასწავლო კურსები მოიცავენ პრაქტიკულ და პრაქტიკული უნარების განმავითარებელ კომპონენტებს. ექსპერტთა ჯგუფის აზრით, პრაქტიკულ კომპონენტის გავლას, რომლის მიზანია სტუდენტებმა საქმიან ურთიერთობებში გამოიყენონ აკადემიურ გარემოში შეძენილი კომპეტენციები, განავითარონ და გააფართოვონ უნივერსიტეტში ბიზნესის ადმინისტრების შესახებ მიღებული ცოდნა და შეძლონ თეორიული ცოდნის პრაქტიკასთან მჭიდროდ დაკავშირება, დიდი მნიშვნელობა ენიჭება.<br>*ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია პროგრამა, როგორც ეს არის* |

*მიღებული ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებში, ითვალისწინებდეს პრაქტიკის კომპონენტს სპეციალიზაციის თითეული მოდულის ფარგლებში.*

მითუმეტეს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დამსაქმებლებთან შეხვედრის შედეგებით დასტურდება, რომ უნივერსიტეტს ჰყავს დამსაქმებლების საკმაოდ დიდი რაოდენობა, მათ შორის არსებობს თანამშრომლობის კარგი პრაქტიკა და ისინი მომავალშიც მზად არიან გრძელვადიან პერიოდში საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩოებში ითანამშრომლონ უნივერსიტეტთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მემორანდუმები/ხელშეკრულებები პრაქტიკის ობიექტებთან/დამსაქმებლებთან;
- სილაბუსებით განსაზღვრული პრაქტიკული დავალებები;
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;
- მემორანდუმები და ხელშეკრულებები საერთაშორისო და საქართველოს სასწავლო დაწესებულებებთან;
- ინტერვიუ დამსაქმებლებთან

რეკომენდაციები:

მიზანშეწონილია საგანმანათლებლო პროგრამა, როგორც ეს არის მიღებული ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებში, ითვალისწინებდეს პრაქტიკის კომპონენტს სპეციალიზაციის თითეული მოდულის ფარგლებში.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამის თითეული საწავლო კურსის სილაბუსში დეტალურადაა აღწერილი სწავლება-სწავლის ფორმები და მეთოდები, რომლებიც სრულ შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის საფეხურთან და კურსის შინაარსთან, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.

სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე გამოიყენება სწავლების ისეთი მეთოდები, როგორებიცაა:

- ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი
- წიგნზე მუშაობის მეთოდი
- წერითი მუშაობის მეთოდი
- დემონსტრირების მეთოდი
- დისკუსია/დებატების მეთოდი
- შემთხვევის ანალიზის (Case study) მეთოდი
- ახსნა–განმარტებითი მეთოდი
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების (PBL) მეთოდი
- გონებრივი იერიშის (Brain storming) მეთოდი
- სწავლების დედუქციური მეთოდი, ანალიზის მეთოდი
- სინთეზის მეთოდი

სწავლება-სწავლის პროცესში მეთოდები ერთმანეთს ავსებენ და ერთმანეთში გადადიან. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში და მორგებული სასწავლო კურსის მიზნებსა და შედეგებზე.

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს ინდივდიუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია და წესი შესაბამის საწავლო პროგრამაც ითვალისწინებს ამ მეთოდოლოგიით განსაზღვრულ მითითებებს.

უცხოელი სტდუენტების არსებობს შემთხვევაში როგორც აკადემიური პერსონალი, ასევე ადმინისტრაციული პერსონალი ითვალისწინებს მათ კულტურულ ფასეულობებს და საჭიროების შემთხვევაში ხდება შესაბამისი ცვლილებების განხორციელება.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სასწავლო კურსის სილაბუსები;

- o სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები;
- o აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები;

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- o

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამაზე სტუდენტთა შეფასება ხორციელდება უნივერსიტეტში არსებული დებულების მიხედვით („დებულება სტუდენტთა სტატუსის შესახებ“ - 12/06/2018). აღნიშნული დოკუმენტი განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის. პროგრამაზე არსებული ყველა სასწავლო კურსის სილაბუსი ეფუძნება უნივერსიტეტის დებულებას, რომელის მიხედვითაც - დასკვნით გამოცდამდე საგანში სწავლის შედეგები

შესაფასებლად გამოყენებული შუალედური შეფასებების ჯამური ქულა უნდა იყოს 70, ხოლო დასკვნითი გამოცდის ქულა - 30. ასევე აღსანიშნავია, რომ პროგრამის ფარგლებში უნივერსიტეტს დაწესებული აქვს მინიმალური კომპეტენციის ზღვრები სასწავლო კურსების მიხედვით. შუალედური/დასკვნითი გამოცდა არის ანონიმური, შესაბამისი სამსახური უზრუნველყოფს სტუდენტთა ნაშრომების დაშიფრვას და შემდგომ გადასცემენ ლექტორს შესამოწმებლად.

სტუდენტის ინფორმირებულობა თითოეულ საგანმანათლებლო კომპონენტში გამოსაყენებელი შეფასების ფორმების, კომპონენტებისა და მეთოდების შესახებ დეტალურად არის ასახული შესაბამისი კურსის სილაბუსში, რომელიც ხელმისაწვდომია სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა
- დებულება გამოცდების ჩატარების წესის შესახებ;
- დებულება სტუდენტის სტატუსის შესახებ;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- ინტერვიუ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემა.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

| |
|---|
| ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

### პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | | √ | | |

### 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

| 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება |
|---|
| სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>სტუდენტები საჭირო ინფორმაციას იღებენ ·სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემის გამოყენებით, ვებ-გვერდისა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან შეხვედრების მეშვეობით.<br>სტუდენტები და კურსდამთავრებულები აღნიშნავენ, რომ პროფესორებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, ადმინისტრაციულ პერსონალთან და ბიბლიოთეკასთან უწყვეტ რეჟიმში აქვთ კომუნიკაცია და ისინი მარტივად იღებენ სხვადასხვა სახის ინფორმაციას. (მაგ.: ელ. მასალებზე წვდომა, პროგრამის დაგეგმვა, სიახლეებზე წვდომა და ა.შ). სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრების შედეგად დასტურდება, რომ ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალი დაინტერესებულია სტუდენტებთან აქტიური კომუნიკაციით და სათანადო რეაგირების საკითხით.<br>უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციის საფუძველზე, ასევე სტუდენტებთან და კურსთამთავრებულებთან გასაუბრების შედეგად დასტურდება, რომ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტები ინფორმირებულნი არიან/იყვნენ გაცვლითი პროგრამებისა და სხვადასხვა |

| |
|---|
| აქტივობების შესახებ. სტუდენტთა ნაწილი აქტიურადაა ჩართული აღნიშნულ პროცესებში და სარგებლობენ/ისარგებლეს უნივერსიტეტის შეთავაზებებით. ასევე, სტუდენტების დიდი ნაწილი მესამე სასწავლო წლის შემდგომ აქტიურად საქმდებიან სხვადასხვა კომპანიებში. დამსაქმებლებთან გასაუბრების შედეგად დასტურდება სტუდენტების მაღალი კომპეტენცია და მომზადება სასწავლო დარგის შესაბამის პოზიციებთან მიმართებაში. |
